

1939

ଲୁହାରୁଦ୍ଧି



1939

3

ოქტომბრული

№ 3

მ ა რ ტ 0

1939 წ.

გამოსცემულია „ძოშენისათი“
რედაქტ. მისამართი: თბილისი, გრიბოედოვის ქ. № 34
ტელ. № 3-02-61

ხარ. პ. ლ. ქ. ა. ცემას და საჩ. ზარდაპოვის მრთვისათვის მარათი

ოქტომბრულის საჩეკარი

შეხერ კიკოვილი

დილით ადრე, როცა სიო
ჩვენს ოთასს და უანჯრებს ურბენს,
დროს ნუ კარგავ მოცდაშიო,
წასჩურჩულებს ჩემს ძმა ჯუშბერს,

წამოდგება თმა ქოჩორა,
სალამს უძღვნის დიად აისს.
მაგიდაზე ქაღალდს გაშლის
და ფერადებს ათასნაირს.

შეუდგება მუშაობას,
აელვარებს ფერზე ფერებს,
ხან სამუშა სიტყვის ეტყვის,
ხან კი ხელად მოუფერებს.

არ აშინებს დალლილობა
მისი ფიქრი ფიქრებს უძღვის,
შეთვრამეტე პარტყრილობას
დიდ სტალინის სურათს უძღვის.



6. ქ. კრეასქაი

ვის არ გაუგონია ნადევდა კონსტანტინეს ასულის კრუპსკიას, სახელი იგი სულ ახალგაზრდობიდან ჩაება რევოლუციონერ მოძრაობაში, აწავლიდა მუშებს უღვივებდა რევოლუციონერ გრძნობას, უკითარებდა სიციალისტურ შეგნებას. ასეთი მუშაობა ნადევდა კრუპსკიამ პირველად პეტერბურგის (ლენინგრადი) მუშაობა უბნის სკოლაში დაიწყო, ხოლო მისი გაცხარებული მუშაობა დამთავრდა განათლების სახალხო კომისარის მოადგილეობით.

კრუპსკიამ მთელი თავისი სიცოცხლე შესწირა ბოლშევკების პარტიას, მშობლიურ ხალხს. ის მეგობარი იყო ლენინის, ებრარებოდა მას რევოლუციონერ საქმიანობაში; კრუპსკია ამბობს: „მე წილად მხვდა უფიდესი ბედნიერება ცყოფილი უავი ბოლშევკიური პარტიის წევრი, მემუშავენა ამხანაგ ლენინის ხელმძღვანელობით“...

კრუპსკია თავდადებულად მუშაობდა განათლების ფრონტზე, დაღიოდა სკოლებში, ებრარებოდა მასწავლებლებს, ზოგს პირადად, ზოგს წერილების საშუალებით. მან უდიდესი მუშაობა ჩაატარა წერაკითხვის უცოდინარობის მოსახლეობად.

პარტიამ და ხელისუფლებამ მას დაბადების 70 წლის თავი მიუღოცა და უსურვა კვლავ ნაყოფიერ მუშაობა.

სიკეთლის უკანასკნელ წუთამდის კრუპსკია მშრომელ ხალხთან იდგა, აქტიურ მონაწილეობას ღებულობდა მესამე ხუთწლედის გეგმის შედეგნაში.

მას მოსდიოდა მრავალი წერილი, ყველას პასუხობდა. უკანასკნელად კრუპსკიას მოუვიდა წერილი კოლოგდის ოლქის გრიზოვეცის სკოლის ბრძანობის უღვევებისაგან. ისინი სთხოვდნენ, თუ რა სიმღერები უყვარს ყველაზე უფრო, რომ



კრუპსკიას დაბადების 70 წლის თავზე შეესრულებინათ. კრუპსკიამ მათ მისწერა: „ჩემი უკვლიაზე უფრო საყვარელი სიმღერაა „ინტერნაციონალი“, ძალიან მიყვარდა აგრეთვე სიმღერა „წითელი არმია“, სამოქალაქო ომის დროს მას კრემლში წითელარმიელები მღეროდნენ, და მე დაილის ძალიან გვყვარდა მასი მოსახლენა.“

მეურვალე სალაში, ძეირფასო ბავშვები. ნ. კრუპსკაია:

„უკანასკნელ წუთებში, როცა ექიმები კრუპსკიას თავს ეხივნენ, ის მაინც საზოგადოებრივ საქმეზე ფიქრობდა იგი აღფრთვანებული ეგებებოდა მეთვრამეტე პარტ-კრილობას, ექიმებს ეგებებოდა:“

— როგორც გვენებოთ, მაგრამ ყრილობაზე მაინც წავალ.

მაგრამ კრუპსკია ამას ვეღარ მოესწრო. ის 27 თებერვალს გარდაიცვალა.



ტყე

ოქ, მაღნარო, ტყევ უღრანო,
სამჯერ იცვლი სამოსს
წელიწადში... უბადლოდე
იმ შენ ძლიდარ მამას!

ჯერ პირველად — შეგიმოსავს
ის მკერდს ხშირი მწვნიოთ,
გიფურებს და ვერ გაშორებს
თვალს ვერც ერთი წამით...

როს დასტებება შემდეგ აქერით
თავის ტურფა ქალის, —
ოქროს სამოსს შეგიკრავს,
მოგიმატებს ხალისს!

და წაგბურავს ბოლოს ფიცქებს
ცაში თეთრად შობილთ,
შეგმოსავს და დაიძინებს
დაქანცული შრომით.

უკრაინულიდან თარგმნა იანაშანშა.

აღ. სერავა

ჭადას შეკრება

საბჭოთა უკრაინა ერთეულთი უმშვენიერები მხარეა ჩვენი ღილი საბჭოთა ქვეყნისა. შორეულ წარსულში იგი დამოუკიდებელი ქვეყნა იყო. მაგრამ იგი დამოუკიდებელი ქვეყნა იყო. მაგრამ მისი მკვიდრი მონურ მდგრადრებაში ჩააყინეს.

სწორედ იმ ხანაში, როდესაც უკრაინელი ხალხი ცუდ მდგრადრებაში იყო, დაიწყო მწერლობა უკრაინელი ხალხის დიდმა პოეტმა ტარას შევჩერებმ.

ეს იყო XIX საუკუნის პირველ ნახევარში, უკრაინელი ხალხის ცხოვრების უმძიმეს ხანაში. მშრომლი ხალხი, გლეხნბა, ბატონყმობის უღლის ქვიშ გმი-

ნავდა. ბატონები ადამიანებს ყიდლნენ, ან ძალებზე ცვლილნენ.

„სიკეთება და თავისუფლებას ნუ ელით, ხალხო, — წერდა ტარას შევჩერებული ერთ თავის დექსში („მე, — თვალი კი არ მეუს, — ავად არა ვხედგი ხოლმე“), — იგი ჩაბეჭა მეტე ნიკოლოზმა და სანამ მას გააღიძებდე, ნაჯახი უნდა გმომირო“.

ბატონყმობით დატანჯული გლეხნბის გაღსილი ნაჯახისაენ მოწოდება ნიშავდა იარალით ბრძოლას ბატონყმური ხელისუფლების წინააღმდეგ. ტ. შევჩერებული მთელი პოეზია სწორედ ასეთი მოწოდება იყო. მას სწამდა, რომ ხალხი

აღდგებოდა, რომ დადგებოდა ხალხის თავისუფლების ბრწყინვალე დრო, მაგრამ ეს მაშინ, როდესაც ხალხი გაიმარჯვებდა მტრარეალებზე.

„ო! ეს იქნება სიმართლე მაშინ,
 მართლა იქვეხებს სიმღერის ძალი,
 თუ რომ სამოძღვო უკრაინაში
 მოლად წაიშლება პანგბის - კვალი“.

ტ. შევჩენკოს ეს ნატვრა დიდი ხანია ასრულდა, მას შემდეგ, რაც მართლა წაიშალა უკრაინაში სახისძარი პანგბის (მებატომების) კვალი, როდესაც დამიგრული უკრაინა გადაეცა ბევრი საბჭოთა მხარედ. ტ. შევჩენკოს სწამდა, რომ უკრაინა წამოღვებოდა.

„წმოდგება უკრაინა
 და სიმართლეს გაშლის“.

მაგრამ იმისათვის, რომ სიმართლეს გაემარჯვა, შევჩენკო მოუწოდებდა ხალხს ბრძოლისაკენ. თავის შესაძირებელი „ანდერძში“ იგი წერდა: „წმოდგებით, და ამსხვრიეთ ბორკილები და მტრის ბორტი სისხლი თავისუფლად მოაფრქვით“.

ტ. შევჩენკო დაიბადა 1814 წელს ყავკლების ოჯახში. მშობლები აღრე დაეხოთაც, ბავშვობა სიღარაკეში გაატარა. უკვარდა მხატვრობა, რომლისათვისაც ბევრი რჯურ გალახეს ბატონის ენგელმარტის ოჯახში, სადაც იგი საშარეულოში მუშაობდა. დაბოლოოს მაინც მიაბარეს პეტერბურგში ვილაც მღებას მოწევდ, შემდეგ იგი სასახლის მღებას უნდა ყოფილიყო, მაგრამ პეტერბურგში შევჩენკომ გაიცნო მხატვარი სოშენკო, რომელიც უკრაინელი იყო, და მისი დახმარებით მოინდომა სამხატვრო აკადემიაში შესვლა. მაგრამ, როგორც ყმა-გლეხს, მისი უშლება არ ჰქონდა, საკირო იყო მისი განთავისუფლება, მაგრამ ბატონმა მის განთავისუფლებაში მოითხოვა ორიათას ხუთის განეთი. დიდი გაჭირებით იშოვეს უშლი მისმა მეგობრებმა და ტ. შევჩენკო გამოისყიდეს 1838წ. მის შემდეგ ის აკადემიაში სწავლობდა, მაგრამ იქ არა მარტო ხატვადა, არამედ ლექსიგბაც წერდა. მაშინ იგი 24 წლის იყო.

ტ. შევჩენკოს პირველი ნიჩარმოებია



პოემ „კატერინა“, მეგობრებმა მოუწონეს ლექსიგბი და თხოვეს დაებეჭდა. 1840 წელს კიდეც გამოივიდა მისი პირველი წერი „კაბარი“. ამ წიგნმა უცებ გაუთქა ტ. შევჩენკოს პოეტის სახელი, მაგრამ მას შემდეგ, რაც მან დაწერა „გაიდამაკებ“, სადაც გამოიყენა ის ამბები, რაც მას გლოხთა აჯანყების შესახებ მოუთხრო ბავშვობის ღრმის ბაბუამ, შემდეგ კი „გამალია“, „სიზმარი“, „კავკასი“, „მე გავიზარდე უცხო მხარეში“ და სხვა ლექსიგბი, სადაც გამოხატა უკრაინელი ხალხის საშენელი ცხოვრება, — იგი ბირვალწუნა მეფის ხელისუფლებამ და 1847 წელს კიდეც დააპატიმრა. სხვა ბრალდებთან ერთად მას მთავარ დანაშაულად წაყყნენ პოემა „სიზმარის დაწერა“, სადაც სიზმრის სახით შევჩენკომ აღწერა მუშინელი ცხოვრების უსამართლობის სურათები. მისისთვის შევჩენკო ათა წლით გადასახლეს. განთავისუფლების შემდეგ

მას დიდხანს არ უცოცხლია, იგი გარდა-
იკვალა 1861 წელს.

გადასახლებაში ყოფნის დროს ტარას შეკრენკო ფარულად წერდა ლექსებს. ის ამ ლექსებში კიდევ უფრო დასტი-
როდა თავის სამშობლოს, ნატრობდა
ენახა მისი ველები, შეესვა დნეპრის წყალი, კიდევ ენახა ყმა გლეხი დები. მას ძალიან უყვარდა თავისი სამშობლო
და ერთ ლექსებში კიდევ წერდა: „სადაა
ქვეყნად მეორე უკრაინა, სადაა ქვეყნად
მეორე დნეპრი“. თავის „ანდრეში“ მან
ინატრა — სიკედილის შემდევ დნეპრის
მახლობლად დამმარხეთ და როდესაც
ხალხი განთავისუფლდება და სამური
ცხოვრება დადგება, მეც გამიხსენოთ.

უკრაინის ხალხს სიცოცხლეშივე უყ-
ვარდა შეკრენკო. პოეტის გარდაცვალე-
ბის შემდევ მეტყვე კრძალავდა მისი სახელის
სახენგბას, მაგრამ ხალხი მაინც ინახვდა
მის სსოფნას, ხოლო საბჭოთა პირობებში
შეკრენკოს სახელი კიდევ უფრო სასიყვა-
რულო გახდა. ტარასი ბუნებით ძალიან
კეთილი აღმიანი იყო, მას განსაკუთრე-

ბით შეუყვარდა ბავშვები, ხშირად შეკრებდა მათ, უამბობდა ზღაპრები და სა-
წავლიდა სიმღერებს, ბავშვებსაც უკუმარებდა
დათ ტ. შეკრენკო. ამის გამო მას უკრევაშეკრენკო უკრაინის, ის არაა ცუდი
კაციო. იგი იმდენად გულკეთილი აღა-
მიანი ყოფილა, რომ ხშირად ყიდუ-
ლობდა, თურმე, დაქრილ ჩიტებს და
ათავისუფლებდა. ხალხის მტანჯველებისა
და მტრების წინააღმდეგ კი სიკედილამ-
დის შეურიგებელი იყო.

ქართველი პოეტებიდან ტ. შეკრენკოს
პირადად იცნობდა აეკი წერეთელი.
აეკი 20 წლის ახალგაზრდა იყო, როდე-
საც პეტერბურგში შეხვდა 1860 წელს
ტ. შეკრენკოს და გაიცნო იგი.

საბჭოთა დრომ კიდევ უფრო საყვა-
რელი გახდა ტ. შეკრენკოს სახელი ქა-
რთველი ხალხისათვეს.

ამებაც მთელი საბჭოთა კაეშმრი
იხდის ტ. შეკრენკოს დაბადების 125 წლის
თავს. ქართველმა საბჭოთა პოეტებმა
თარგმნებს მისი მშვინიერი „ქობზარი“,
უკრაინის ხალხის ეს ძეირფასი პოეტურ
საუნჯე.

გრიმი სასხლე

მარტივი ცეცხლი

ჩემს გოგონას, ჩემს ბალანას,
მე დავარქვი მარგალიტი;
ჩვენ ვუმღერით იავნანას,
ის ღულუნებს როგორც გვრიტი.

გაიღვიძებს ჩვენი ვარდი,
გაშლის ხელებს პაწაწინას,
შორს გაქრება სევდა, დარდი,
სიხარული ავსებს ბინას.

წამოიწყებს: „მა-მა, მა-მა,
დე-და, დე-და, ტა-ტა, ტა-ტა“,
აღტაცებით უცქერს მამალს,
უყვარს ლექვე, უყვარს კატა.

ეზოში რომ გავატარებთ,
დაინახავს ფრთაქრელ ჩიტებს,
თრთის და ღელავს მთელი ტანით,
პაწაწინა თითს ათითებს.

— მარგალიტი, მარგალიტი!
ყველა ვუხმობთ ტროფობით, ლხენით.
სპასუხოდ ისიც ტიტინს
იწყებს თავის უცხო ენით.

აღტაცებით უცქერს დედა,
სახე მისი ტროფობით ბრწყინავს,
გაქრა დარდი, გაქრა სევდა,
სიხარული ავსებს ბინას.

დაუკინებარი დღე

ძღვნად თბილისის მეორე სრულ საშუალო სკოლას, რომელმაც ა. ჭ.
იანქრის 29 ჩატარა ჩემი შემომწედების საღმო.

...დამინახეთ და მოზღვავდით,
მომაგებეთ ტაშის ტალღა
და კლუბისკენ ქრისმულით
გამიტაცეთ, როგორც დალღა.

აი სცენაც, კოხტა სცენაც,
მორთული და შუქით საკსე...
ხელმისახეულ მუსაიფით
სავარძელში მომათავსეთ.

აიხადა სცენის ფარდა,
კვლავ აგორდა ტაშის ტალღა,
და მეც, ჩემო კუდრაჟებო,
მეც თქვენსავით ვიქეც ბალღად.

მატყვევებდა თქვენი სიტყვა
და ლექსები, თქვენგან თქმული,
საჩუქრები, ყვავილები
და უფრო კი...თქვენი გული.

საპატიო პიონერად
ამირჩიეთ ერთსულოვნად,
ყულსახევიც გამიკეთოთ, —
ვცან, შიგ რწმენა ჩაგექსოვათ.

და მეც რწმენით შემოგფიცეთ:
არ შევბალავ ამ ყელსახევეს,
რომ ვატარებ ღირსეულად
მონიჭებულ მაღალ სახელს.

და თუ ვინმე ომს აგვიტეხს,
თუ ბრძოლაში გამიძახეხს, —
როგორც წითელარმიელი,
დროშად გავშლი ამ ყელსახევეს
და შაშხანით ვეკვეთები
ჩვენი საზღვრის გადმომლახველთ.

თარან განვითარება

მესაგრვებები გადასახიცეს

იმ დილით ზღვა მშვიდი იყო, ზანტად
მოაგორებდა მომცრო ზერობებს, ნერი
შრიალით ჰქონიდა ნაპირს, ბრჭყვი-
ალა კენცებს ქაფში ხვევდა და აქტ —
იქთ დაგორებდა.

ძია თელომ ადრიანად ახსნა ნავი,
აუქარებდად ძლიშია ნიჩქები და ნელნე-
ლა დამორდა ნაპირს. წყნარად მიირწე-
ოდა ნავი, ნიჩქები ნელი შრიალით

ეშვებოლნენ წყალში, ძია თელო კი ჩაფი-
ქრებული გამყურებდა წყლის დაუს-
რულებელ სიცრტეს.

ნელა მისრიალებდა ნავი. ქმთან
წყალი ქადებოდა, წვრილ შეეფებად
იმსხვერეოდა და ნავის კედლებზე აურე-
ბული კელავ ზღვაში ცეკოდა წინჯლე-
ბად.

შეგმ რომ ყური ამოპუო, ნავი ფიკვნარს

გაუსწორდა. ძია თედომ ნიჩბებს თავი მიანება, წინასწარ გამზადებული ჩანგლები წყალში გადაყარა და თოკის ბოლოები საიმედოდ დაამაგრა. დაკვირვებით მარათვალიერა. ზღვის დასასრული. ჰორიზონტზე გამბულ ღრუებლთა კედელს ღიმილით აყოლა თვალი და დარწმუნებულმა, რომ საღამომდის ქარგი ამინდი იქნებოდა, ამაყად გადახედა ზღვას.

ძია თედოს დღვეანდედო თეჭაობის დიდი იმედი ჰქონდა. მისი გუანით ამ დროს თორუჯი უნდა მოსწყდომოდა ნაძირებს.

— მერე რა ბარაქიანი თეჭია დალო-ცვილი, — გაიფრერა თედომ და ნავის ცხვირთან დამაგრებულ თოქს მიასტერდა. სახეზე სასიხარულო იერმა დაპერა, თვალებზე ჩამოფხატული ქუდი უკან გადაისია და დაკოურებული ხელი თოქს ჩისჭიდა. გამოცდილმა ხელმა იგრძნო, რომ ჩანგალზე რაღაცა იყო... გამოუთქმელი სიხარულით მოზიდა ჩანგალი. თოკი დაიკიმა, რამდენიმეჯვრ გადაბრუხდა და ღონიერ მელაქეს დაპყვა. შეჩვეული შეთვეზის ხელი ნებანება ეწეოდა. ჰა... სულ ორი ძლილიდა დარჩა, საკა თორუჯი ამოყოფს თავს. ძია თედოს ველარ ძოუთმენია, წყალში მაღიდან იყურება, თოქს კი წელანდელზე უფრო ნელა ეწევა.

უცემ წყალი აირია, ზედაპირზე უამიერი ტუტი ამოცვიდა და ჩოქეროლით შემოეხვია ნავს.

ძია თედომ უჩვეულო ძალის ბიძგი იგრძნო, ნავის ზღუდეს რომ არ დაპეჯენოდა, წყალში გადავარდებოდა. თოკი ხელიდან გაუსხლდა, საკა წყალში ჩაიმალება, მაგრამ თედოს ხელმა კვლავ შეჩერა. ფიცარს ფეხი მიტკირა და რაც შეეძლო უკან გამოსწია. გამწევი მაღალ უფრო ძლიერი აღმოჩნდა. ძია თედო წელში მოიღუნა. მეტი ველარ შეძლო და ცოტა კიდევ მიუშვა. შემდეგ ხელშეკრედ დაინაცვა და თავგანწირვით გამოსწია უკან, ოღავ შეამაგრა. ამ მდგომარეობაში გაჩერდა, თოკი კისერზე მოიდგა და ცოტა ხნის შემდეგ კიდევ გაიწია.

თოკი მოეშვა, სულ შობოშდა, თე-

დომ ისარგებლა და ორიოდე ხელი განვით რამდენიმე შეტრი ამოაცია, ხევრამ კვლავ დღიერი ძალით გამოიარავა მა. ახლა კი აღარ შეიძლება მას საქმე. ბიძგი თანდა-თონ ძლიერდებოდა, ნავს აურიავებდა, ერთხსნის იდგა ძია თედო, შემდეგ არა ჩვეულებრივი სისწრაფით დასწევდა დარჩებილ თოკს, ნავის წვერზე დამაგრებულ ჩანგალზე წმოდეა, ორჯერ შემოაცია, რგოლში გამოატარა და ნავის ძირზე ჩაქვდა. ნავი წელანდელზე უფრო ძლიერ ატოკდა, სულ აცახადა და ზიგაზაგობრივა სველა დაიწყო.

— ნეტა რა წამოვდა ამ ოხერს? — ფიქრობდა ძია თედო და ვერ მიმდევრიყო, რა უნდა ყოფილიყო ასეთი ძლიერი, რომ ნავს თავისულიდ დასტირალებდა. მთელი თავისი სიცოცლე აქ გაეტარებინა და მისითანა რამ არ ენახა.

რა ეწა? რა უნდა ელონაზ არც თვითონ იცოდა. გაშტერებული დაბყურებდა თოქს და წყლის მოძრაობას გაფაციცებით ავირიდებოდა.

ნავი სულ სიღრმეში მიდიოდა, ნაპირი თანდათან შორდებოდა და ფერმებით აღმოალდებოდა.

წყალი უფრო ლურჯდებოდა. აღარ ჩანდა ტოტები და ფოთლები, წყალი რომ ბლობად დაცურავდა ზედაპირზე.

ძია თედომ ნაღვლიანად გაიხედა ნაპირისაც კუნ, თითქოს შეელას სთხოვდა შორეულ მთებს, თავითან ბოლომდის ჩა-ათვალიერა და შემდეგ მტკიცე გადა-წყვეტილებით დასწვდა თოქს, ღონიერად გამოსწია, მაგრამ იძულებული იყო ისევ გაეშვა ხელი. ნავმა არა გვეულებრივი რყევა დაიწყო, ხან აქეთ გვერდზე გადაიწვევდა, ხან იქით, ხანდანან ცხვირით დაწევოდა დაბლა, ბოლოს ზევით ასწევდა და შემდეგ ისევ ტყალშეუნით დაეცემოდა წყლის ზედაპირზე. ძია თედო დაიკუზა, მაგრად ჩაბდლაუკა ნავის კიდეს და არ იხტოებოდა.

ახლა სხვა აზრი მოუკიდა თედოს, სწრაფად მიერდა ნიჩბებს, ნავის თევებზე ჩამოაცვა და მძლავრად მოუსევა ნაპირი-

საკუნ. ნავი შესუბუქად გაცურდა. თეოდ დაიჭიმა და ქანაბიძი გაჟუვა. ცოტასანს იცურა ნავმა. მაგრამ შემდეგ. თითქოს დაეჯახა რამდსო, შეჩერდა, ურვეულოდ შემოტრიალდა და გიფური რყევით უკან გაცურდა.

ამაღდ ეწვალებოდა თელო. ნავი ველარ დაიმორჩიმდა, ის თავის ნებაზე პრუნავდა და წაღმაუკულმა დაცურრავდა. ნავის ქვეშ წყალი ბობოქრობდა, უამრავ ბუშტი ისროდა და ბუბუკებდა. ძია თელო მოიქნეა, შებლებ იულის წევთები დაჟაყარა, მძიმედ ქშინავდა, ძალა ალარ ჰყოფნიდა ნიჩების მოსახმელად.

ახლომახლოც არავინ ჩანდა. მის ბედზე არცერთი მეთევზე არ გამოიჩნდა, რომ მიშველებოდა, იქნებ შეერთებული ძალით გაათრევდნენ ნაპირზე.

* * *


კარგხანი გვავიდა. დღე მიიწურა, ჩამობნელდა. პორიშონტიდა პორიზონტამდის ცვლავერა შთაინთქა სიშავეში. ვარსკვლავებც მიიმალნება. სუსხიანა სიიშ შემოუბერა და წვემის წვეთებმა წყლის ზედაპირი ააშრიალა.

— უთუოდ ქარი ამოვარდება, — გაიფირა ძია თელომ და თავი საწვიმარში ჩაჲყო.

წვიმია მოუხშირა, სიო გაძლიერდა და უსაზღვრო წყლის სიერცეზე ყრუ შრიალი გაისმა. ირგვლივ არაფერი ჩანდა. არაფერი ესმოდა ძია თელოს, არც იცოდა სად იყო, ქობულების, ბათომის თუ ფიოთის მახლობლიად.

ვარსკვლავები მაინც ჩანდეს, მაშინ პდეილია მიმართულების გამოცნობა. ნავი კი ტოკვადა და დასრულილებდა აქეთიქით. წვიმა მძაფრდებოდა, თავიპირში ასხამდა და შეხვილით ჩაჩბოდა ნავში.

ნიავი გაძლიერდა, ტალღები აგორდა. ნავში წყალმა იძატა. ცოტა ხნის შემდეგ ტალღაც გადაევლო ნავის კიდეს, და ძია თელომ წყალი ფეხის კოკებამდის შეიგრძნო. ნავი ძლიერად ატყედა, თელო იძულებული იყო ჩაყუნტებულიყო. წვიმა შეუბრალებლად ასხამდა. ნიავი მოლონიერდა, უკვე ქარად გადაიქცა. ნავი ნაფოტივით დაცურავდა ტალღებზე.



ირგვლივ არაფერი ჩანდა, მხოლოდ სიშავე და სიშავე. არც ერთი ნათელი წერტილი.

ძია თელომ დანა ამოილო, მივიდა თოკთან, უნდა შეეჭრა, მაგრამ შედგა.

— დე, იყოს, ღუზის მოვალეობას უჟასრულებს...

შემდეგ უკანვე გამობრუნდა, სანიჩბეს მოუფათურა ხელი, მაგრამ ნიჩები ვეღარ შეიგრძნო. აქ კი მწარედ ამოიგმინა ძია თელომ.

ჩი ქნას, საით გაცუროს ერთი ნიჩების მარავი ერთი ნიჩებითაც შეიძლება; მაგრამ საირი რომ არ იყის, რომელი მიმმორტულებით მწარედ ჩაფიქრდა... წვიმა შეუჩრებლივ ასხამდა, ქარი მძაფრდებოდა და ტალღა წატდაუშემ აწყებოდა ნაეს.

აი, მოქსმა ძლიერი შეუილი, და ისე მაგრად შეირყა ნავი, რომ თავი ვეღარ შეიმაგრა, შემოტრიალდა და მკერდით მიინარეცა ნაეს.

— მეტი ალარ შეიძლება, — გაიფირა მან, — ელვის სისწრაფით წამოსტა, დანა მოიმარჯვე და ის იყო უნდა გადაეჭრა თოკი, რომ ამ დროს ყველაფური განათდა, მშვენივრად დანახა ნავი, თოკი, აქაფებული ტალღები... და კვლავ ჩამო-

ბნელდა. სიბრძლე ახლა უფრო მწვავედ
შეგურძნო მეოცეზემ.

უძ, ეს რა იყო... აქ, ამ სიბრძლეში,
შუა ზღვაზე, ამ თავსებაში, სინათლე?
როგორ? სინმარში ვარ თუ... — გაივლო
გულში. ძია თედომ და თავბრუ დაესხა,
ამ იცოდა რა მოხდა...

კიდევ განათდა მის წინ... კაშკაშა სი-
ნათლეზე აუციმციმდა ამღვრეული თვა-
ლები, დასველებული ხელები წინ გაიშეი-
რა და არაჩვეულებრივი სიხარულით აღ-
მოხდა:

— მესაზღვრები!

შემდეგ დაჭრილი ცხოველივით სა-
ზარელი ზმურილი ამოუშვა, ხელები სი-
ნათლისაკენ გაიშვირა და ღრადლებდა,
როგორც კ შეეძლო:

— მიშველე-ე-თ მიშვე-ლეეო...

ეს ხმა ყრუ გრგვინვად ისმოდა წვიმის
შხელისა და ტალღების ტყლაშენში, მე-
საზღვრეთა ნავი აწყდებოდა და სივრცეში
იყარებოდა.

ცორა ხნის შემდეგ მესაზღვრეთა მო-
ტორიანი ნავი ძია თედოს ნავთან გაჩნდა,
ვარშემო შემოუარა და კვლავ მძლავრი
სინათლით გაანათა.

— ვინა ხრ! — მძლავრად გაისმა წყლის
შხელში.

— მეთვეზე ვარ, მეთვეზე! — აღტაცე-
ბით უბასუხა ძია თედომ და მესაზღვრე-
თა ნაეს ბავშვური სიხარულით უყუ-
რებდა.

— ეგ რაღა თოკია? — ჰკითხეს კვლავ
მესაზღვრებმა.

— თორუჯი დავიკირე და ვერ ამო
ვათრე, — თავისიდაუნებურად უჭახუხული
მეთვეზებ, თუმცა დანამდვილების აუდიტორი
იცოდა რა იყო, თორუჯი თუ სხვა რამ.

მესაზღვრეთა ნავზე საქმიანი ფუსტუსი
შეიწა. ძია თედო თავის ნავში გადაიყვა-
ნეს, მისი ნავი კარგად დათვალიერეს,
შემდეგ ბუქსირზე აიყვანეს და თედოსთვის
გაურევეველი მიმართულებით გაემგზა-
რნენ. მესაზღვრებმა როცა კარგად გაი-
გეს ვინ იყო ძია თედო, აუხსნეს, რომ ის
სასაზღვრო ხაზზე მოხვდა და ცოტა რომ
დაეგვინებინათ, შეიძლება უცხოეთის
წყალში ამოეყო თავი ან დაღუპულიყო.

ძია თედო უხმოდ იჯდა, ხანდახან
წყარიად გაიღიმებდა და მაღლიერი
თვალით შეჰყურებდა მხიარულ მესა-
ზღვრებს.

მეორე დღეს უზარმაზარი თორუჯის
სანახავად ყველა ზღვისპირისაკენ მიიჩ-
ქაროდა. მართლაც უშველებელი იყო
ეს თევზი, ვემბივით გაშლართულიყო
ქვიშაზე. სიგრძით თოხ მეტრამდის იქნე-
ბოდა, ცხვირი ნახევარ მეტრს უდრიდა.
მთელი ტანის გასწრეივ ძელები ღილე-
ბივით ჰქონდა ჩარიგებული. მნახველები
ცნობისმოყვარეობით ათვალიერებდნენ
ამ უშველებელ თევზს და ძია თედოს
წამდაუწმენებით დაეცერის ამბავს.

ისიც დაუზარებლად იმეორებდა
ერთსა და იგივეს და თან ღიმილით დას-
ძენდა 25 ფუთამდის გამოყაო.



დარჯობელი ხაზის

ნამრობელი



პატარა ხარ, მკვირცხლი ლექვი,
აძრებილი კუდის შქონე,
მიყვარს შენი შინერამოხევრა,
წერუტუნი და მუხლის ღონე.

შზიანი დღით გალალებულს
ბეკეასთან დავა გშვეის,
ხან დარბიხარ, ხან თამაშობ
და სიმკვირცხლე მომწონს შენი.

მინდა იყო ასე კარგი,
გაიზარდო, გახდე დიდი,
ორუტუნამ და ქრელმა ფისომ
შემოგხედონ მუდამ რიდით;

უთვალთვალო ეზოს კარებს,
უთვალთვალო ბაღჩის ფერდობს,
ღრუტუნამ და წვერუცარამ
რომ წუწყობა ვერ გაბედონ.

მინდა ამ ღროს ფხიზლად ყეფდე,
გავიგონო შენი ხმა შორს,
ყნოსით სცნობდე მტერ-მოყვარეს,
სდარაჯობდე ხალხის ნაშრომს.

მე კი ოცა გავიზრდები,
ვით მამაცი ვაჟი უველა,
ჯარში წავალ, წითელ ჯარში,
წენი ქვეყნის საზღვრის მცველად.

თუ ივარგე, გაგაღონებ
ჩემს ვაჟაცურ მხნე სიმღერას,
გულს არ დაგწევეტ, თან წაგიყვან
საზღვრის დამრღვევ მტრის დამჭერად.

მტერს კი კბილი უნდა გაძკრა
ვით მახვილი, როგორც დანა...
ძალი მამაც შესაზღვრებს
ცოტას უდგას გვერდში, განა?

მანამ ეზოს უთვალთვალე,
უთვალთვალე ბაღჩის ფერდობს,
ღრუტუნამ და წვერუცარამ
რომ წუწყობა ვერ გაბედონ.





ମୃଦୁଳାନନ୍ଦ ପଦିତ

ნაგვანევი მთვარე რომ ამოიწევრა,
ქორწილი განდებული იყო. ჯემალის
უფროსში ქამან დურსუნმა მეზობელი კოლ-
მეურნე შავთვალწარპა ფალიშე შეირთო
ცოლიდ.

სტუმრების დენას ბოლო არ უჩანდა.
დინჯად მოაბიჯებდნენ მოხუცები, იყო
დარბაის ლურჯი მისაღმება:

— „სალიაშ ალექსიქუმ, ყარლაშ“!*)

Այս Եկեղիքանի մայրավունդութ Շեմոցունքնեն
Տրումբրից օք. մզըլ իշես առ սրալաթյու լա
յշունքու գամեաինքու ը զանսրունցա.

მოხუცებმა შერჩეთით*) შეავსეს სასმი-
სები და სიძე-პატარძალს მზე და მთვა-
რესავით ხანგრძლივობა უსურევს.

ახალგაზრდებმა საკოლეგიურნეო სიმ-
ღერა წამოიწყებს. ჟირიალა ხმით იწყებ-
და ლამაზი გულხანუმი და ყმაწვილები
პანს ეჭიბნებოდნენ.

სუფრის თავში ორი მესაზღვრე წითელ-
არმენელი იჯდა. ბევრი იუარეს ახალგაზ-
რდებმა — დრო არ გვაქვსო, მაგრამ
დურსუნმა თავისი არ დაშალა. მესაზ-
ღვრეთა რამზის უფროსს სთხოვა, დასვე-
ნების საათები შეურჩია და თავის ქორ-
წილში მოიყვანა მეგობრები.

ბოლოს ბერძენი მეოცენზე ანესტიკა
მოვიდა. სუფთად და ლამაზად ეცვა
მოხუცს. ახლადშეკერილი ჩქამები გაეპ-

ରୀଳାଙ୍ଗେବିନା ଦା ତାପ୍ତେ ଜାରିବିଲେଗରୀର ମା-
ନ୍ତ୍ରକୋ ଗ୍ରେହରୀ ଦନ୍ତକୋଟି ମେତ୍ରଲ୍ଲାଂଡ ଦାଶେଇଥି
ଲୁଣ୍ଠାବ୍ଦୀ ନେଉରାଵ୍ରା ଅନ୍ତେତ୍ରୀ ମନ୍ଦୁଗୁପ୍ତ
ସମ୍ପର୍କିତୀକୋ ଗ୍ରେହ କ୍ରେଟରରୀ ମନ୍ଦୁଗ୍ରା ଏରା
କ୍ଷେତ୍ରରେ ମେତ୍ରଗ୍ରେହୀ ଏରାକୁ ମେତ୍ରଗ୍ରେହୀ ଏବଂ
ଏକାକ୍ରମିତ୍ତରେ ଉତ୍ତରାଧିକାରୀ ନାମକୁ ମେତ୍ରଗ୍ରେହୀ
ଏକାକ୍ରମିତ୍ତରେ ଉତ୍ତରାଧିକାରୀ ନାମକୁ ମେତ୍ରଗ୍ରେହୀ

ମନ୍ଦିରକୁ ପାଇଁ ତଥା ପାଇଁ ପାଇଁ ପାଇଁ ପାଇଁ ପାଇଁ

სტაგრომ მოსწრდილი კალათი ძლიერ
შემოიტანა დარბაზში. ყველა დაინტერე-
სდა. მეთვეზემ ცოცხალი თვეზით სავსე

კალათი მიართვა ხევეუ-ღედონულს.
დურსუნის უმცროსი ძმა, პატარი ჯე-
მალი, მოხუცი მოთვეზის დანახვიმ ერთობ
გაახარა. ის უცემ მოტრიალდა და გარეთ
გამოვიდა.

— კო, იცი? მია ანგესტი მოვიდა,
სტავროტა მოვიდა! — ჰუსკინა სიხარუ-
ლით ტაში შემოქრა, ჯემალს ხელი
მოხვევა ძაბბიკურად და აჩქარებით უთხრა:

“) სილამში, ამხეთნავო!

^{**)} შერბეთი ბატავის მაგდარი ტკბილი სას-
მელია (შარბათი).

ჯემალმა თანხმობის ნიშანად ხელი და-
არტყა, და მოცეკვავე ხალხში მიიშალნენ
პატარები.

ოდის შესავალთან მურადაც ნახეს, უფ-
როსებს შეველოდა დარბაზში სანოვაგის
შეტანას. დაბრუნებისას, კიბეზე შეაჩერა
იგი ჰუსკინამ და უურში წასურჩეულია:
— სათევზაოდ წამოხვალ, მურად?

— წამო, მურად, ასეთ დროს ვერასო-
დეს ვერ ვიშვივით! — დაუმატა ჯემალმა.

— ღამე რომაა? — თავისთვის ჩაიღლაპა-
რაკა მურადამ.

— ეეე... მშიშარა! — ერთხმად მიაძახეს
ორთავემ.

— მაშ კარგი! მოიცათ, ბიქებო, ოეფ-
შებს ხატიჯეს მიცუტან, თქვენ კიშეართან
დამიცადეთ! — ჩუბად თქვა მურადმ და
სამხალისაკენ გაეშურა.

მურადა რომ მოვიდა კიშეართან, ჯე-
მლი და ჰუსკინა ფორთხლის ბუჩქები-
და გამოძვრენ. ჯემალს ფარანი და ბადე
მოჰქონდა. ჩუბად გაიარეს კიშეარი. გზა-

ზე რომ ვინმე არ წაპყროდათ და უკა-
არ დაებრუნებია, ჰუსკინას დაუჭირებულ
და მნიდარინების ბაღებში გადავიწყებულ
პატარი ბილიკი მანდარინის ხელშემომავა-
რევით ეშვებოდა მდინარისაკენ. ვერ-
ცხლისფრად კრიალებდა მთვარის შუქს
მდინარის ფართო ზედაპირი და ამ მუ-
ლირო ღამეში ზარიერთ წერიალებდა ქორ-
წილიდან ნიავის მოტანილი გოგო-ბიქე-
ბის მხიარული სიმღერა.

სასწრაფოდ ჩაირბინეს პატარებმა დაღ-
მირთო.

მეთევზის ქოხთან მიტოვებული ნაევი
ეგდო.

ჯემალმა რიყებე მოველებული პალე
გამდლა, შეამოწმა და ნავში ჩაგდო, ჰუ-
სკინამ კი მეთევზის ქოხი გააღო და ნიჩ-
ბები გამოიტანა. ბიქებთან რომ დაბრუ-
ნდა, ხელი მდინარე თისაკენ გაიშეირა
და მეგობრებს უთხრა:

— დღეს ჩევნს იღბალზე წისქვილიც
არ მუშაობს... ხელს არავინ შეგვიშლის!



მართლაც, წისეკილიც არ ხმაურობდა. მხოლოდ გაბმით ქრისტინობდნენ კრისტინები და საღლაც მახლობელ გუბეში ზაყვაცი ყყიყინგბდა.

ჰუსეინა და მურადა უკანიდან აწევებოდნენ ნავი, ჯემალი წინ ესიდებოდა. ნავი პატარა იყო, მაგრამ მძიმე, ოფული წურწურით ჩამოსცილდათ პატარებს. სულ ნაპირთან რომ მიიტანეს ნავი, ნიჩები მოარგეს და მურადამ მენავის ადგილი დაკირია. ჰუსეინამ და ჯემალმა წყალში შეეცურქეს ნავი და თვითონაც შეახტენენ. ნელა მიაცურებდა ნავს მურადა.

ნავი ჩანჩქერს მიუახლოვდა, მურადამ შევჩერა. ახლა ჰუსეინა მიეცველა მეგობარს.

— დროა, ამოვილოთ ბადე! — თქვა მურადამ.

— დააცა ცოტა! — შეესიტყვა ჯემალი.

უცემ თხემლის ბუჩქები გაფარუნდა. პატარები შეერთნენ. ნავი ნაპირ-ნაპირ მიცურავდა. ბუჩქებში ისევ ვიღაც ფაჩენობდა.

— სუ... — ჩაილაპარაკა ჯემალმა, ბუჩქებში ფიჩი გატყდა!

— ხედავ, კაცი! — წასჩურჩულა მეგობარის შეშინებულმა მურადამ. ჰუსეინამ ნიჩები მიუშვა და მოტრიალდა, მაგრამ არაფერი ჩანდა.

რამდენიმე წუთს სულგანა ბული იყენენ პატარები. ხმა არ ისმოდა.

— მოგეჩვნა, — წასჩურჩულა ჰუსეინამ მურადას.

— არა, იქ კაცი! — დარწმუნებით თქვა მურადამ.

— წავიდეთ, გააცურე ნავი, — უთხრა ჰუსეინის ჯემალშა.

ებილა მდინარეს აღმა მიპყვებოდნენ. ჰუსეინი თავგმილებით ეწეოდა ნიჩებს, მაგრამ ნავი ძლიერს მიწევდა წინ. მურადაც შეელოდა ჰუსეინას. ვერ იქნა და ხვავი ვერ მოიკიდეს. მეთევზის ქოხი ჯერ არ ჩანდა.

ჯემალმა ბადე ამოსწია, ის თვეისულად ამოვიდა. პატარები დაინავსნენ: ბადე ცარიელი იყო.

— ფუ, ცარიელი! — უკანიფილოდ ჩაილაპარაკა პატარამ. ჰუსეინა და მურა-

და ისევ მთელი ძალით აწვებოდნენ ნიჩებს, მაგრამ იქნა, ნავი აღმა ვერ წაიკანეს.

სადღაც ფიჩი კვლავ გატყდა. პატარები ისევ გაინანენ. ჯემალმა ფარანი ჩააქრი. მთვარე ხანდახან გამოყოფდა თავს შავი დაძნებილი ღრუბლებიდან და მაშინ მეტათა შეუქნე მოჩნდა სამი პატარა ბიჭის ფერმკრთალი სახე.

— ნავი მივაბათ და წავიდეთ! — წაუფუნის ჯემალს ჰუსეინამ.

შორიდან ძალების გაბმული ყეფა მოისმა. პატარები გაამსნევა სოფლის სიახლოვებ.

— რას უცდით, წავიდეთ! — თქვა მურადამ.

— კარგი, წავიდეთ, — დათანხმდა ჯემალი.

ნავი ნაპირთან მიაცურქეს. მდინარეზე გამოზნექილ ტირიფს მოებლაუქა მურადა. ჰუსეინამ თოვი გადმოიღო და ტირიფზე მიიპა ნავი.

საწრაფოდ გადმოიტანეს სკელი ბადე, კალთი და ფარანი.

ჯემალი ბადეს მიაჩინიალებდა, ჰუსეინამ კალათს დასტაცა ხელი, ფარანი მურადას მიაჩეჩის და მდინარის ნაპირს გაუყვნენ.

მურადა თითქმის მირბოდა და ხშირად უკან იხდებოდა. ხმას არც ერთი არ იღებდა.

შეთევზის ქოხთან რომ მიაღწიეს, შეჩერდნენ და უკან მოიხედეს.

— აა, გჯერათ, იქ კაცი დავინახე... იმაგებოდა... წავიდეთ სოფელში! — დაიწყო მურადამ.

— მოგეჩვნა! — დარწმუნებით თქვა ჯემალმა.

— ააა, ფიჩის ხმა რატომ მოისმოდა? — შეეკითხა მურადა.

მთვარე გამოვიდა ღრუბლებიდან და გაანთა არქმარე. ქარი მიერკეყბოდა ცაზე შევლევა საწიგმარ ღრუბლებს.

— სუ, მოიცათ, ხედავთ ჩენ ნაეს! — გაიშეირა მდინარის ქვემოთ ხელი ჰუსეინამ.

მართლაც, ნავს ქვევით დიდი სისწრაფით მიაცურებდა ვიღაცა.

— ხედავთ? — გაიმეორა ჰუსეინაშ. — ვხედავთ! — ერთად უბასუხეს თავები.

— წავიდეთ, გავიქცეთ... სოფელს შევატყობინოთ, — თქვა ჯემალმა და ბადე დაკარგა.

პატარები მირბოდნენ... სახე და ხელები სულ დაეკართ ბარებში. ბოლოს ღობებზე გადახტნენ და მანდარინის ბაღებს მიაღწიეს. ახლა უკვე კარგად მოისმოდა ქორწილიდან მხარული სიმღრა:

„ბახმაროს მთებში დაუთოვია“ — მიმ. ზიღველის ხმით არაკრაკებდა ვიღაც.

ჯემალმა კიბესთან დააგდი ბადე და დარბაზში შევარდა.

სიმღრა შეწყდა. სტუმრები გაკვირვებით მისჩერებოდნენ სირბილით სუნთქვა-შეკრულ პატარებს. ჯემალმა მაგიდას შემოუერა, მესახლეობისთან მიიქრა და აქოშინებულმა ნაწყვეტ-ნაწყვეტად უთხრა:

— ამხანაგო მესახლეობა... ამხანაგო მე-სახლეობა.... იქ, ქვევით, მდინარეზე ვი-

ღაც კაცია, ბუჩქებში იმალებოდა, ხმა არ გაგვდა!

— დიახ, ჩენ თვითონ ვნახეთ... რაშე უცად მატეს პატარებმა. სტუმრები ამითქმულებულ დღენ, ხალხი აირია.

— გმადლობთ, პატარებო! — ძლიერ მოასწორო ამის თქმა მესახლეობები და სასწრავოდ კარებს მიაშურა.

სტუმრები წამოიშალნენ.

ნაშუაღამევს კოკისილული წვიმა მოვიდა.

ალიონისას სასახლევრო შლაგბაუმთან*) მესახლეობება ორი უცნობი დაკავეს. ჩანთებში დინამიტები და რუკები უპოვეს. რუკები წითელი და ლურჯი ფანჯრით იყო დაბაზღული ალაგალაგ.

მეორე დღეს მესახლეობრთა რაზმის უფროსმა პატარები იხმო. უფროსმა მათ სასუქრები მისცა, ხელი მაგრად ჩამოართვა სამივეს და ალექსინად უთხრა:

— ყოჩაღ, პატარებო!

*) შლაგბაუმი, — სასახლეოზე გადასავლელთან დადგმული ნიშანმცემები.

იოსებ იმარავიძე



(ახრი აღესულია სულხან სამა ისტორიული დანართი)

ქველად ერთხელ გლეხმა ძროხა
გაიყვანა გასასყიდად:
მეფის, ვაქრის და ხუცის
ლიც „ვალების“ გასაწმინდად.
გარს ჩარჩები მოეხვივნენ,
თქვეს თუ: „როგორ მოვატყუოთ,
რომ ხელო ვიღდოთ მისი ძროხა
და ამითი მეტი ვიღოვთ?“
ერთი ჰეთხავს: „შა, მომბილო,
როგორ ფასობს შენი ცხარი?“
მეორე კი დინჯად ბრძანებს:
— ეს ხმი ძალი არის წყნარი.

აქ მესამე ჩაერია
და ორივეს შეუძახა:
— „არ გცხვენიათ, უნამუსოდ
დაგილიათ პირი, ხახ!
სადაური ცხვარი არი,
ან რომელი ქვეყნის ძალი,
ბერავ გლეხს რომ ატყუილებთ,
აღარო გწამო ცოდო — ბადლი?!“
— „შაშ რა არი? — შეეკითხა
აქ ორივე მესამესა.
— „კარგი ჯიშის უცხო თხაა,
გეფიცებით ჩემ სიყრმესა“. 13



გლეხი შესკერს გოლუებით
ხან ერთსა და ხან მეორეს,
მესამესაც გადახედა,
მიამგვანა ცრუ-მეჭორეს,
ეუბნება:

— „რასა ბრძანებთ,

თქვენ სცდებით თუ მე მატყუებთ!
საოჯახოდ კაზარდე ძროხა,
თქვენ კი ცხვრად თუ თხად მისაღებთ...
ვის უნახავს ამისთანა
ვაკრობაში ხათაბალა.

მზისგულზე რომ თვალებს მიხვევთ,
მიწას ხომ არ ხურავს ჩალა?!

— „სიყმე მოკვდეს, ჩემი სიყმე,
თუ ეს, ძმაო, თხა არ არი!“

— „გეუბნებით, — ეტყვის მას სხვა:
ძაღლი არი ანუ ცხვარი...“

რა კაცი ხარ, ხალხის ხმასა
განა უნდა უარყოფდე,

ქვეყანაშ რომ გითხრას „ბრძა ხარ“,
უნდა წუთსკე დაპყაბლედე...“

— „მოსამართლემ გადაწყვიტოს, —
უპასუხებს მათ მესამე, —

იქნებ ძროხა გამოვიდეს
და ამ გლეხკაც ერგოს რამე...“

— „აგრე იყოს, აგრე იყოს“ —
დაეთხნება სწრაფად გლეხი,

ვითომე ამით მატყუარებს
სამართალის დასცა მეხი...“

* * *
და წარუდგნენ მოსამართლეს
მყიდველი და გამუიდველი;
ძროხაც იქვე მიიყვანეს,

ამათ შორის საცილეელი.
მოსამართლემ გადახედა,
გადუქნია ჩარჩმა თავი,
თან სიფროთხილით წასურჩეული გადამართვა
„შენ გეკუთვნის ამის ტყავი“.
გლეხს კი ეტყვის: „ აი, ჩენი
ცოდო — მადლის სწორი გზაო,
ამან უნდა გადაწყვიტოს,
ძროხა არის თუ რომ თხაო?
მოსამართლე წუთს მიუხედა
ჩარჩ-ვაკრების გულის ნადებს
და იძახის: — თხის პატრონი
წინ წამოდგეს, რა ბრალსა სდება?
— რასა ბრძანებდ, მოსამართლევ,
ეს ხომ არის დიდი ძროხა!
— სადაური ძროხა არის,
სად ხედავ მაგის ხბოსა!“
ხუცესი აქ შემოესწრო,
სწრაფ შეიცნო მათი თქმული
და იძახის: — „სწორედ თხა,
სანაქებო, ღმერთი, რჯული!“
— „რაკი ბრძანებთ, მეცა მჯერა,
ჩემი ძროხა თხად გასაღდეს;
ეუდი მაინც მიწყალობეთ,
შინ ცოლი არ გამიჯავრდეს...“

* *

ეუდი მისცეს, მსაჯულ-ჩარჩებს
გაუბრწყინდათ მყის თვალები,
თვითონ კარგა იქეიფეს,
წაგმატა გლეხს ვალები.....

* *

რა ქნას გლეხმა... კისერს იუხანს:
ვაღები ვერ მოიშორა,

თავის ყოფას, უბედურსა,
ფიქრით უვლის შორით-შორა.

თქვა: — „ვიყიდი მაინც ცხვარსა,
მოსავლელად ადვილია!“

ისევ ბაზარს დაუბრუნდა,
საქონელით გაესილია.

დადის გლეხი ცხვრის საყიდლად...
თვაღო მოჰკრეს ჩარჩ-ვაკრებმა,

ტანს ტყაბუქი გადიბრუნეს,
მოუარეს, ვით მგზავრებმა,

— „რას დაეძებ აქ ძმობილო? —
ტებილ ალერსით ერთი ჰეთხაეს.“

— „ცხვარი მინდა, კარგი ცხვარი,
სამდე ხომ არ დაგინახაეს?“

ჩარჩთ ერთმანეთს გადახედეს

— „ვაჲ, რა კარგი ვნახეთ ცხვარი,
(მოაღონდათ ბაის ძაღლი)
თორმეტტუძე, სანუკვრი!“
— „აგაშენათ! სად იქნება?“
— „ბაკში იყო... იყიცადე,
შევე უნდა გაგმდიდორო,
რაკი ერთი დავიქადე!“
გლეხი ჩარჩებს მიატვა,
გაქცა „ცხვრის“ მოსუყანად,
(თეთრბალანა შაკე ძღლის,
რო მოჩანდა ცხვრის გვარად).

— „იფ, რა არის, რა მატყალი!“ —
ამბობს ერთი ვაჭრუანი, —
„სხვა რა უნდა, ვის პი ბედმა
სანაშენოდ ეს არყუნა!“
ეტყვის ჩარჩი მას შესამე
— „რძეს იწყვლის თორმეტ ლიტრას,
ამზადა საქონელისა
ვერსად ნახავ ქვეყნის პირას!“
გლეხი შეკუქრის გაოცეპით:
— „სადაური ცხვარი არი?
ეს ხმამა ძრუა ძაღლი,
მტაცელთა მოდგმა — გვარი!“
— „ამას, შმაო შენ ვერ იცნობ,
არის უცხო რამ ჯიშისა, —
ჯერსე თორმეტ ბარკანს იგდს,
არ აქვს ფიქრი შიძიშილისა!“
გლეხი მაინც წნელებს გრხხავს,
ცდილობს გასცდეს, მოწირილის,
ჩარჩმა ხუცესს თვალი მოქერა,
უნდა მისით ცოდნ ზიდოს,
ამბობს: — „მეცეს ამის რისხეა,
თუ არ იყოს წმინდა ცხვარი!“
(თან ჩაუკრა ხუცესს თვალი)
ეს ხომ ჯიშის ცხვარი არი!
ლვთის საწირვეს გადავიხდით;
დაფასდება თქვენი გარჯაც,
ოლონდ გლეხი დაარწმუნო!“
სწრაფ ხუცესიც გაისარჯა,
ლვთის სახელით ეუბნება:
— „ვინც იყიდით, ავესება
სიკეთით და ქონებითა!“
გლეხი ეპობს, ძაღლსა სინჯავს
თვალითა და გონებითა.
ფიქრობს: „რა ქვეყნის ბრუნვა,
გამიჩინა გულში დარღლი:
თეთრსა შავად მიმტკიცებენ,
გოჯიარ ერთი ძღლი,

თხა არის და არა ძროხა,
ცხვარია და არა ძაღლი!
„სულის მამავ! — ეტყვის ხუცესს, — რა კოროვა
გლეხმა ვიცა გლეხის საქმე. გამოადგინე
მე ჩემ დღეში ამინთანა
არ მინხავს ცხვარი საღმე!“
— „შვილო, არის საქმიული.
ლვთის განვებით გაჩერნილა,
ბარაქიან საქონლისგან
ეგ ერთიღა დარჩენილა!“

* *

გლეხმა ხუცესს დაუჯერა
და ირწყენა მისი „მაღლი“,
შეისყიდა, წაიყვანა
ცხვრის მაგიერ თეთრი ძაღლი.
და როს ძაღლმა ბატქის ნაცვლად
დაუყარა მას ლეკვები,
რძის წვეთიც ვერ გამოწველა,
დაეღალა თუმც ცერები,
სილარიბეგ უფრო მეტად
დააჭირა ზურზე ქეხი,
ძაღლი დაუქეციანდა,
ლობის ძირას ფშიეა ფეხი, —
მექისობა იწყო გლეხმა,
აპანოში ხალხსა ზილავს,
ხუცესის და მოსამართლის
შურის ზღვევას გულში ზიდავს,
„თხად ქეცულის“ თვისი ძროხეს
კულიც იქვე დაუკიდავს...“

* *

აპანოში ერთად მოხვდნენ
მოსამართლე და ხუცესი,
გლეხ-მექისეს გაუხარდა,
ამეტყველდა უმუნჯესი...
მათ შექის ზილავს, ხეხავს,
როგორც არის მათი წესი.
მოსამართლე ეკითხება:
— „აქ რადა ძროხის კული?“
— „ძროხის კი არ, — ეუბნება, —
ჩემით თხისა გახლავთ კული!“
აქ ხუცესმა გაიცინა,
ეუცხოვა სიტყვა მრუდი.
— „ვაი, ჩევი მუშის პრალი,
აბნევია გზა და კვალი!
— გეუბნებით, თხის კული,
მე არა ვარ სიტყვამრუდი!“
— ქეკაზე ხომ არ შეიშალე?!



ეგ ძროხისა არის კუდი!
მოსამართლე გეშენებით
და ხუცისი... ძმავ, დარწმუნდი!“
— „თუ ძროხისა არის კუდი,

მაგ თხად რისთვის გამისალე!“ —
შეუძახა მას მექისემ, —
ახლა ჩემებრ დაიდადე!“ —
უთხრა და ზედ მიაყოლა გრძელებული
ძროხის კუდი მელავის ტოლა,
ხუცისი რო მიეშეელა,
მასაც ზურგი აუქრელა,
თუმც ორივე ღრიალებდა,
ვერ გაბედა ვერვინ შველა

* *

ას იყო, მეფის დროსა,
სამართლი მრუდედ ჭრიდა,
მატუარი ალალმართალს
სიცრუება პირში სჩრიდა,
ძროხა ბერწ თხად ფასლებოდა,
ძალლი კი ცხვრად სალდებოდა.

ს. მიხაელოვი

ვისი ოქია სურბრია?

ნანი მერხხე იჯდა წყნარად,
ბურთაობდა ჩენი კლარა,
ოთარისთან იღგა რეზო,
გასცეუროდა მწვენე ეზოს.
ნანიმა ოქვა — ეხლა ხედავო?
მფრინავია ჩემი დედა,
მისი ჩიტი რომ ფრთხებს გაშლის,
წავა, წავა, წავა ცაში!
მიატოვა ბურთი კლარამ:
— ნუ იყვეხი, ნანი, კმარა,
შენი დედა თუ ფრენს ცაში,
ჩემსას ავტო მიყავს გზაში!
იცის, ტყე თუ სოფელია, —
ჩემი დედა შოფერია!
ბიქებმა თქვეს: „მოგვერია,
მისი დედა შოფერია!“
და ჩაწერდა ყველა, პოლა
მოაგონდა აქ ჩენეს ოთარს:
— შოფერია? დიდი საქმე!

დედაჩემი, ვამბობ აქ მე,
კარგ საქმეში გარეულა:
არის მთავარ მზარეულად!
თქვენ რომა სკომ ნაზუქს, ქადას
(ხომ კარგი გაქვთ კამის მაღა?)
ტორტებს, ნამცხვარს ამისთანას, —
დედაჩემი აცხობს, განა! —
ჩაერია აქ კი რეზო:
— რას ტრაბაბობმ ყველა ღლესო?
აგერ ზურას, თინას, მერის
დედიკ ჰყავთ ინუინერი,
ჩემი დედა ბავშვებს უვლის,
ექიმია ჩინებული,
და ერთ გოგოს კიდევ, ფატის,
დედიკ ჰყავს დეპუტატი!
პატარება, როგორც ხდავთ,
საქირაო ყველა დედა,
ყველა შომობს შინ და გარეთ,
უსაქმერი არეინ არი,
და ყველასთვის დარობს დარი!

გადამკუთხებული შ. მიშელაშვილი მიერ.

ବାହୁଦା କରନ୍ତ ଗନ୍ଧା

გ ა მ თ ვ ა 6 ი 8 0

- | | | |
|--|---|--|
| <p>1.</p> <p>მოფრინდება, როდესაც
ველ-მინდვრები მწვანდება,
უყვარს ტუ... და კვერცხების
სხივის ბუღეში დადება.</p> | <p>2.</p> <p>ათასგვარი მღერა იცის,
აღარ უნდა ფიქრი დიდხანს,
თუმც რეინაა, შეეჭლია
მაგიდიდან ლექსიც გვითხრას.</p> | <p>3.</p> <p>თეთრად აფეთქდა ლავვარდში
ზევი წერტილი პატარა,
ღრუბლებთან კაცი შეისვა,
მიწამდე ჩამოატარა.</p> |
| | | <p>4.</p> <p>როცა ქუჩაში მიღიხარ,
შეეხვდება ბეყრი მათგანი,
მისი წერალობით აქ ისმის
ამერიკაში ნათქვამი.</p> |

১৫৩৮০২

ଓଡ଼ିଆ ଅନ୍ତର୍ଜାଲ କେବଳ

1.	ଶେଷାଳୀ ଯିନିର୍ମାଣିଲୁ,—ଏହିପରିମିଟର୍‌ରୁଗ୍ରେଲିନ୍ ସାର୍କ୍‌ରୁଗ୍ରେଲିନ୍ (ଲ୍ୟେଜିସି) ବାର୍ଗ୍‌କ୍ୟାଙ୍କିଳ ମେ-2 ଗ୍ରେ	83
2.	୩. କ୍ଷେତ୍ର—୧. କ୍ଷେତ୍ରିକୁଲିକ୍ (ଫିର୍ମିଲିକ୍)	1
3.	ସାର୍କ୍‌ରୁଗ୍ରେଲିନ୍—ଲ୍ୟେଜିସି, ତାରଗ୍ରହଣି ଏବାମିନିବେ	2
4.	୧୩. ଉଚ୍ଚଦ୍ୱାରା,—ପ୍ରାଚୀନ ଶୈଖିକ୍‌ରୁଗ୍ରେଲିନ୍ (ଫିର୍ମିଲିକ୍).	2
5.	୧୫୦୧୦ ମେ ଡିଜଲ୍‌ରୁଗ୍ରେଲିନ୍—ମିଶ୍ରଗ୍ରାମିକ୍ (ଲ୍ୟେଜିସି).	4
6.	୩୦୦୨୬୦ ରୋଡ଼ିକ୍‌ରୁଗ୍ରେଲିନ୍,—ଅନ୍ତର୍ଜାତିକ୍ ଲାଭ (ଲ୍ୟେଜିସି)	5
7.	ତଥାରୀର ବାର୍ଗ୍‌କ୍ୟାଙ୍କିଳିନ୍‌ରୁଗ୍ରେଲିନ୍,—ମେଲାଶକ୍ତର୍ଗ୍ରେଲିନ୍ ବାର୍ଗ୍‌କ୍ୟାଙ୍କିଳିନ୍‌ରୁଗ୍ରେଲିନ୍ (ମିଶ୍ରଗ୍ରାମିକ୍)	5
8.	୩୦୦୨୬୦ ରୋଡ଼ିକ୍‌ରୁଗ୍ରେଲିନ୍,—ଅନ୍ତର୍ଜାତିକ୍ ଲାଭ (ଲ୍ୟେଜିସି)	9
9.	ସାର୍କ୍‌ରୁଗ୍ରେଲି ବାର୍ଗ୍‌କ୍ୟାଙ୍କିଳିନ୍,—ମିଶ୍ରଗ୍ରାମିକ୍ (ମିଶ୍ରଗ୍ରାମିକ୍)	10
10.	୩୦୦୨୬୦ ରୋଡ଼ିକ୍‌ରୁଗ୍ରେଲିନ୍,—ଏହିପରିମିଟର୍‌ରୁଗ୍ରେଲିନ୍ ବାର୍ଗ୍‌କ୍ୟାଙ୍କିଳିନ୍ (ମିଶ୍ରଗ୍ରାମିକ୍)	13
11.	୧. ମିଶ୍ରଗ୍ରାମିକ୍ ରୋଡ଼ିକ୍,—କ୍ଷେତ୍ର ଲ୍ୟେଜିସି ଏବାମିନିବେ (ଲ୍ୟେଜିସି ବାର୍ଗ୍‌କ୍ୟାଙ୍କିଳିନ୍ ବିଭାଗୀ).	16
12.	୨. ପାରିପାରିକ୍,— ଗ୍ରାମିକ୍‌ରୁଗ୍ରେଲିନ୍	ଗ୍ରାମିକ୍‌ରୁଗ୍ରେଲିନ୍ ମେ-3 ଗ୍ରେ
13.	ସାର୍କ୍‌ରୁଗ୍ରେଲିନ୍—ମିଶ୍ରଗ୍ରାମିକ୍ (ମିଶ୍ରଗ୍ରାମିକ୍)	ଗ୍ରାମିକ୍‌ରୁଗ୍ରେଲିନ୍ ମେ-4 ଗ୍ରେ

କୁର୍ରିନାଲିତ ପାଇସନ୍‌ଟିରିପ୍‌ରୂପ ମେଟ୍‌ର୍‌ୱ. ୧. ଫ୍ରେଜରିଶ୍ରୋଦନ ମୋଟ

ଶୁଣି ମୁହନିର୍ଦ୍ଦିଷ୍ଟ ପାତାରେ— । କିନ୍ତୁ କିମ୍ବା କିମ୍ବା

ମେଲ୍ଲିନ୍ଦୁରେ ପାଇଁ କାହାରେ କାହାରେ—୩. ୫-୦୧୦୬୫୯୮

ଶବ୍ଦାବ୍ୟପ୍ତ ଫିର୍ମାନମିଳିବାରେ 17/II-1939 ରେ
କ୍ଷେତ୍ରମଧ୍ୟରେ ରାଜସହିତରେ 20/II

ଶ୍ରୀଲଙ୍କାନ୍ଦ୍ରିକ ଶେଷ 60X92
ଅମ୍ବାନ୍ତିକା ରୁପାନାନ୍ତିକା 20 rs. 9/- X 14

ବୁଝ

ଶ୍ରେଷ୍ଠ ତାଙ୍କାର ପାତରାହୁରୁଷାତାଳିରୁ

Moderato

Piano.

The musical score consists of eight staves of handwritten musical notation for piano. The notation uses standard musical symbols such as notes, rests, clefs, and dynamics. The first staff is for the right hand, and the second staff is for the left hand. The score includes several performance instructions and dynamics, such as 'Moderato' at the beginning, 'mf' (mezzo-forte) in the first staff, 'cresc.' (crescendo) in the seventh staff, and 'ff' (fortissimo) in the eighth staff. The music is divided into measures by vertical bar lines.